პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სუთშაბათი
4 სექტემბერი
№ 203 (17846)
ფასი 2 კაპ.

საქალაქო ბიბლიოთეკა

ორბიტის ახალი ამბები

ფრუნზის მართვის ცენტრი, 2 სექტემბერი. (საკდესი). მთავრდება ლეონიდ პოპოვისა და ვალერი რიუმინის ორბიტული ფრენის 21-ე კვირა.

კოსმოსურ კომპლექსში შესრულებული სამუშაოების პროგრამაში დიდი ადგილები აქვს დათმობილი გეოფიზიკურ გამოკვლევებს, რომლებიც ემსახურება სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის მთელი რიგი სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტას. ამ მიზნით ეკიპაჟი განაგრძობს ინფორმაციის შეგროვებას დედამიწის ბუნებრივი რესურსების, სხვადასხვა მეტეოროლოგიური მოვლენების, ატმოსფეროს მტვრითა და კვამლით გაჭუჭყიანების შესახებ. კოსმონავტებს დაკვირვების შედეგები შეაქვთ საბორტო ჟურნალში, აწარმოებენ ხმელეთისა და ზღვის საინტერესო რაიონების ფოტოგადაღებას, ოპერატიულად გადასცემენ ინფორმაციას მართვის ცენტრში მყოფ სპეციალისტებს. [illegible] კასპიისა და [illegible] ზეაზის რესპუბლიკების [illegible] გრაფირებას.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის შესაბამისად, „კრისტალის“ დანადგარზე განაგრძობენ 30 აგვისტოს დაწყებულ ექსპერიმენტს უწონობის პირობებში ნახევარგამტარი მასალის გალიუმის არსენიდ მონოკრისტალის ზრდას.

ხვალ ეკიპაჟს მორიგი სამედიცინო დღე აქვს. მოიწყობა კოსმონავტების გულ-სისხლძარღვთა სისტემის კომპლექსური შემოწმება, სისხლძარღვთა ტონუსის გამოკვლევა და სადგურის საცხოვრებელ ნაკვეთურებში ხმაურის დონის გაზომვის ექსპერიმენტების შესრულება.

ლეონიდ პოპოვი და ვალერი რიუმინი თავს კარგად გრძნობენ.

თვალსაჩინო აგიტაცია მოთხოვნათა დონეზე!

ჩვენების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, მასებთან პარტიის მუდმივი კავშირის, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ისეთ აქტიურ ფორმას, როგორიც არის თვალსაჩინო პოლიტიკური აგიტაცია.

თვალსაჩინო საშუალებების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ახლა, ამ ეტაპზე, როცა ჩვენი მშრომელები დამკვრელურად იღებენ მეათე ხუთწლედის გეგმებისა და ნაბიჯი ვალდებულების უთუო შესრულებისათვის და ყველგან, ყველა უბანზე აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, რათა ღირსეულად შეხვდეთ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

აგიტაციის ამ საშუალებათა როლი და დანიშნულება კი დღეს ყველასათვის ნათელი და გასაგებია. ამ საშუალებების მთავარი ამოცანა ხომ ის არის, რომ ჩილული პროპაგანდა გაუწიოს პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებსა და წინასწარდასახულობებს მიმდინარე ეტაპზე, დარაზმოს მშრომელთა მასები მათი განხორციელებისათვის, ნათლად უჩვენოს, თუ როგორ მიმდინარეობს მეათე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების შესასრულებლად, ვინ დაწინაურდა, ვინ გამოიჩინა თავი, ვინ შემატა თავისი ღირსეული წვლილი სამშობლოს ძლიერებას...

ამაყოფილებთ უნდა აღინიშნოს, რომ, რაც დრო გადის, უანრობრივად სულ უფრო ფართოვდება და მრავალფეროვანი ხდება თვალსაჩინო აგიტაციის ფორმები. უკანასკნელ ხანს მათი „თვალსახედვის არეში“ ექცევა პარტიის პოლიტიკის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიც არის შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, წარმოების ეფექტიანობა და ხარისხი და სხვ.

ეს გასაგებიც არის, ბოლო წლებში თვალსაჩინო აგიტაციის დიდ მნიშვნელობაზე არაერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი გამოქვეყნდა, რომლებიც ბევრ ძვირფას მითითებას გვაძლევს და პრაქტიკულ გამოცდილებასაც გვიზიარებს. ამის ნათელი მაგალითია ამბანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები „მცირე მიწა“ და „აღორძინება“, რომლებმაც პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ კადრებს, ყველას, ვისაც თვალსაჩინოების საშუალებათა მომზადება-გამოქვეყნების საქმე ავალია, პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი რჩევა-დარიგებები მისცა.

თვალსაჩინო აგიტაციის გაუმჯობესებისა და გაჯანსაღებისათვის პარტიული ორგანიზაციებს კონკრეტული ამოცანები დაუსახა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „რესპუბლიკაში თვალსაჩინო აგიტაციის დაყენების გაუმჯობესების შესახებ“.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად გამოიყენეს ეს უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები და ბევრგან მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში თვალსაჩინო აგიტაციის ქმედითობის ამაღლების ისეთი ეფექტიანი საშუალებანი, როგორიც არის აგიტაციის კომპლექსურ-თემატური გეგმების შედგენა და მათი შესრულების სისტემატური კონტროლი.

ბევრგან სრულყეს ამ მხრივ მუშაობის ხელმძღვანელობის ფორმებიც. დღეს ადგილზე თვალსაჩინო აგიტაციისადმი კონკრეტულ პარტიულ ხელმძღვანელობას ახორციელებენ სპეციალური კომისიები, რომლებსაც მაღალ დონეზე ირჩევენ. ეს კომისიები პარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებთან არსებული იდეოლოგიურ კომისიებთან, თვალსაჩინო აგიტაციის მეთოდსახმეობთან ერთად მთლიანად განაგებენ და წარმართავენ ამ მუშაობას.

გაუმჯობესდა მიმდინარე მომენტის შესატყვის თვალსაჩინოებათა შემუშავების კოლექტიური შერჩევის და დამტკიცების პრაქტიკა; თვალსაჩინოებათა ქმედითობის ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციებში თვალსაჩინო აგიტაციის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების სისტემატურმა განხილვამ, კონკრეტული ღონისძიებების დასახვამ და მათი ოპერატიული განხორციელებისათვის ყოველდღიურმა ზრუნვამ.

ამ მხრივ დადებითი გამოცდილება შეიძინეს ქალაქების თბილისის და რუსთავის, სოხუმის, თბილისის საჭარხნო, თეთრი წყაროს, აბაშის რაიონების, თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნების, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციებმა და სხვ.

მაგრამ დღევანდელ ვითარებას, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დაძაბულ პერიოდს, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეული შეხვედრისათვის გაწლილ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი უპასუხა შესაბამისი შემტევი თვალსაჩინო აგიტაციით.

მხედველობაში გვაქვს არა სტენდებისა და პლაკატების რაოდენობა, არამედ მათი შინაარსის სწორი პოლიტიკური მიმართულება და აქტუალობა, იმ ამოცანების ზუსტად ასახვა, რომლებიც უნდა ალდგინოთ. სამწუხაროდ, ბევრგან ეს მომენტი მაინცდამაინც სრულყოფილად ვერც არის შეფასებული და ვერც დიდაძალი უმიზანმართო და უაზრო ფოტოსურათები ქმნის სასურველ ეფექტს.

ახლახან ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის მე-60 წლისთავის ზეიმზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორგანიზაციურულ-პოლიტიკური მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება ყოველი პარტიული ორგანიზაციის სადღეისო ამოცანაა.

და ამ მხრივ პოლიტიკურ მუშაობაში, ადამიანებზე ემოციურ და იდეურ ზეგავლენაში თვალსაჩინო აგიტაციის როლი მეტად დიდია. ის ხომ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და საშუალებას გვაძლევს უმნიშვნელოვანესი დავალებების შესრულებისათვის წარვმართოთ მშრომელი მასების პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმი.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია კი ამ მთავარ ამოცანას ჯერ-ჯერობით მთლიანად სასურველ დონეზე ვერ წყვეტს. მისი ორგანიზაციის დროს ყოველმხრივ ვერ ითვალისწინებს იმ პირობებს, რომლებშიც. მან უნდა იმოქმედოს, უგულებელყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის, კატეგორიის, ფენის თავისებურებებს; თვალსაჩინოებათა მიწოდება არ ხდება ოპერატიულად, მუშაობაში არ ანაბეს ძიება, ეშვიათია სიახლე. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერი ფორმალურად, ვალის მოხდით კეთდება.

ამის ნათელი დადასტურებაა, მაგალითად, კახეთის გზატკეცილზე გამოკრული თვალსაჩინოებანი, რომელთა უმრავლესობა, პირველარ ეშეიძლება ითქვას, არაფერისმთქმელია, ზოგიერთი კი აშკარად არ შეეხებამება არათუ ამ გარემოს, არამედ მოცემული ვითარებასაც. ანალოგიური მდგომარეობაა გორ-ცხინვალის, ცხინვალ-ონის საავტომობილო გზებზე, ცაგერის, ჯვის, ხულოს და რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონულ ცენტრსა თუ ქალაქში, დაბასა თუ დასახლებაში. საჭიროა გულდასმით შევარჩიოთ არა მარტო მომენტის შესაფერისი პოლიტიკური პლაკატი, ლოზუნგი, სტენდი, დიაგრამა თუ სხვა, არამედ მისთვის შესაფერისი ადგილიც, რომელიც ამ ეტერადობას შეძენდა თვალსაჩინო აგიტაციის მოწოდებას.

როგორც ჩანს, დადგა დრო პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მხატვარ-გამფორმებელთა შემადგენლობის პოლიტიკური ცოდნისა და პროფესიული ოსტატობის დონის ამაღლებას, მათი სწავლების ფორმების სისტემატურ სრულყოფას. ამ მხრივ მხარდაჭერის ღირსია პარტიის თბილისის, აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების გამოცდილება აგიტაციის მხატვარ-გამფორმებელთა სკოლების შექმნის საქმეში.

სიახლის გრძნობა, დროით ნაკარნახევი თვალსაჩინო აგიტაციის ახალი საჭირო ფორმების გამოძებნა და მათთვის სათანადო უანრობრივი იერსახის მინიჭება პარტიული კომიტეტების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს.

უნდა ვალიაროთ, რომ ამ მხრივ იყო შეცდომებიც, როცა ახალგაზრდა მხატვართა და არქიტექტორთა თამამი წინადადებები, რომლებიც ქალაქებისა და დასახლებების ე. წ. „მცირე არქიტექტურულ“ გაფორმებას გვთავაზობდა და აგიტაციის ამ ფორმის სრულყოფას ითვალისწინებდა, სამწუხაროდ, განუზორციელებელი დარჩა, ბევრად მათში სწორედ დროით ნაკარნახევმა სიახლემ მხარდაჭერა ვერ პოვა.

ასეთი შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს. ცხოვრებამ, პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ თვალსაჩინო აგიტაცია ადგილებში პოლიტიკური მუშაობის მეტად მნიშვნელოვანი უბანია. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები იდეოლოგიური კადრების მუშაკებისა და ინტელიგენციის უშუალო მონაწილეობით სისტემატურად უნდა სრულყოფდნენ მას თანამედროვე ვითარების შესაბამისად.

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

გზა „ქურქით“ იმოსება

დაიწყო მშენებარე ავტოსაგზაო მაგისტრალის მოსაფალტება, რომელიც კავკასიონში გადის. იგი ერთდროულად წარმოებს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ახალი გზის დაახლოებით 20 კილომეტრი უკვე რუხი „ქურქით“ შეიმოსა.

„თბილისგვირაბმშენის“ № 13 და № 15 რაზმების (უფროსები — გ. ყიფიანი და გ. ნიკოლაიშვილი) გვირაბგამყვანებმა მშენებლობის დაწყებიდან უკვე გაიარეს 2110 გრძივი მეტრი. გრაფიკის გასწრებით გაჰყავთ საზვერ-სატრანსპორტო შტოლნი.

მომავალი გვირაბის საერთო სიგრძე 3685 მეტრი იქნება. გვირაბგამყვანები ერთმანეთს გაისად შეხვდებიან.

მშენებლობა წარმოებს მთის რთულ კლიმატურ და რელიეფურ პირობებში. ავტომაგისტრალის ტრასაზე მშენებლებს ისეთ ადგილებში უხდებათ მუშაობა, სადაც ადამიანს ჯერ ფეხი არ დაუდგამს. ცალკეულ უბნებში ასრულებენ დიდი მოცულობის მიწის, აფეთქებისა და სხვა სამუშაოებს. მაგალითად, გზად ჯავისაკენ მომავალი ვაკისისათვის კლდეებიდან ამოიღებენ და ექსკავატორ-ბულდოზერებით გადაადგილებენ ექვს მილიონ კუბურ მეტრზე მეტ ქანებს. მშენებლებს დამატებითი სიძნელეებს უქმნის ბუნება — ძლიერი თოვა, ზვავები, თქეში, განსაკუთრებით — წელს. მშენებლები წარმატებით სძლევენ სიძნელეებს, უსწრებენ სამუშაოთა გრაფიკებს. მაგალითად, კავკასიის საგზაო მშენებლობის ტრესტის № 841 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა მიმდინარე წლის რვა თვეში ოთხი მილიონ 125 ათასი მანეთის სამშენებლო სამუშაოები შეასრულა.

ავტოსაგზაო მაგისტრალის მშენებელთა წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ბულდოზერისტ-მემანქანეებს ალიოშა ცხოვრებოვს, ალექსი კულუმბეკოვს, მექანიკატორე მემანქანეებს ივანე გაპონოვს, ანდრია მიშჩენკოს და სხვებს. ისინი მუშაობენ დეკეზით „სკკპ XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა!“ (საქინფორმი).

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

მიწათმოქმედის ზაფხულის ბადაოდებელ უამრავ საქმეს დღითი დღე ახალი საზრუნავი ემატება. რესპუბლიკის ზვრებში „რთველი — 80“ დაიწყო, ხოლო მალე მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ლაშქრობის მონაწილეებს მეჭარხლეებიც შეეერთებიან.

რესპუბლიკის სოფლის მშრომელები, რომლებიც „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და აუბარაძის ლაშქრობის მონაწილეებს მეჭარხლეებიც შეეერთებიან.

ბოლოდ ახლა უჩვეულო ფუსფუსია. ეს ორომტრიალი დილაადრიან, მზის ამოსვლამდე იწყება. აქეთ მარნის კარი ჭრიალებს, იქით ვენახისა. ქვევრებსა და საწნახლებში სარეცხისგან აქაფებული წყლის ჩქეფანი ისმის.

— კარგი ღვინო მარტო კარგმა ყურძენმა კი არა, სუფთა ჭურჭელმაც იცის, — გეტყვიან ღვინის ოსტატები.

დიახაც, ასეა! მეღვინეებიც დასტაქრებივით თეთრ ხალათებში, მაგრამ ასეთი სამზადისი — არასოდეს! ეს არც არის გასაკვირი. ჯერ ერთი, წლეულს ორჯერ მეტი ყურძენი მოიკრეფება, ვიდრე წინა წლებში, მეორეც, წინა წლების დანაკლისიც უნდა ბოლოდ ავსოს. ეს ორმაგი ტვირთი ბევრ ადგილას ბალახის ფხვნილის ბარაბანზე ან ბეტონის ავზებზე ან ბეტონის ავზებზე ან ბეტონის ავზებ

პარტიული ცხოვრება

სახელოვან ტრადიციათა ერთგულებით

სულ მალე მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრიობა იზეიმებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამესამე წლისთავს, რევოლუციისა, ნთელი მომავლისაკენ, უკეთესი მერმისისაკენ, რომ გაუხსნა გზა კაცობრიობას.

რამდენ უსასტიკეს განსაცდელს, გასაჭირს გაუძლო და კიდევ უფრო გამოიბრძმედა ამ დროის მანძილზე კომუნიზმისათვის ბრძოლის მებაირახტრე — საბჭოთა კავშირი. ეს კი იმის შედეგიც არის, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა თაობა ღირსეულად განაგრძობდა და განაგრძობს მამა-პაპათა გმირულ რევოლუციურ, შრომითს, საბრძოლო ტრადიციებს.

სწორედ ამიტომ პარტიის რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს, ცდილობენ სწორად, მიზანსწრაფულად გამოიყენონ სახელოვან წინაპართა მაგალითით ახალგაზრდა თაობის სწორად აღზრდის მრავალფეროვანი ფორმები. ერთ სულ ახალ ფაქტს მოვიყვან:

ამ დღეებში სოფელ ღორეშაში, გამოჩენილი პროფესიონალი რევოლუციონერის, ლენინის ერთგული თანამებრძოლის ს. ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმში პარტიული ბილეთები გადაეცით ახალგაზრდა კომუნისტებს — ერთ-ერთი ქარხნის მოწინავე მუშას ტ. გლუნჩაძეს, ვახანის კოლმეურნეობის ბრიგადირს ლ. ლაცაბიძეს, ზვარეს საბჭოთა მეურნეობის მუშას ი. ჩაჩანიძეს, ჩხერელ კოლმეურნე გ. ბერაძეს.

გახდე სკკპ წევრი და ლენინური პარტიის ბილეთი მიიღო სახლში, სადაც გამოჩენილი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე დაიბადა და გაიზარდა, თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის მართლაც რომ მთელი ცხოვრების მანძილზე დაუვიწყარი ისეთი მოვლენაა, კომუნისტური იდეალების საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად რომ აღანთებს ხოლმე. პარტიული ბილეთების გადაცემის ოფიციალური ნაწილის შემდეგ სკკპ რაგიონი ახალშეიებულთ უფრო დაწვრილებით გავაცანით რაიონის მდიდარი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები. საამისოდ კი უნიკალური მასალებია თავმოყრილი სახლ-მუზეუმში.

მართლაც რომ, ბევრი რაიონი იამაყებს გამოჩენილ ადამიანთა ისეთი პლეადით, როგორიც ორჯონიკიძეს, (მაშინდელ ბელაგორს) ჰყავდა. ვ. ი. ლენინთან პირადი მეგობრობა ჰქონდათ ს. ორჯონიკიძეს, ნ. კიკნაძეს, ლ. თაბუკაშვილს, რევოლუციის ისტორიიან სათუთად შემოინახა თერგის სახალხო კომისრის ს. ბუაჩიძის, გ. ელისაბედაშვილის, გ. დევდარიანის და სხვათა უკვდავი სახელები.

რევოლუციის საქმის გამარჯვებისათვის მათს თაოგანწირულ ბრძოლებზე ნათლად მეტყველებს თუნდაც მემორიალური დაფებიც, ბევრგან რომ შეხვდებით ჩვენს რაიონში. ერთ-ერთი მათგანი დაბა ორჯონიკიძის მახლობლად, ხანდებში დგას: „აქ, 1905 წლის 30 დეკემბერს ბელა-გორის წითელმა რაზმმა ს. ბუაჩიძის და გ. ელისაბედაშვილის ხელმძღვანელობით დაამარცხა და განაიარაღა თენგინის პოლკის მეთერთმეტე ასეული, ბრძოლაში მოკლული იქნა ასეულის მეთაური კაპიტანი დავიდოვი“. ინტერესმოკლებული არ იქნება წიფის გვირაბთან აღმართული მეორე მემორიალის გაცნობაც: „1906 წლის 2 იანვარს შორაპნის მაზრის წითელმა რაზმელებმა ს. ბუაჩიძის მეთაურობით დაამარცხეს თენგინის 77-ე პოლკის მეცხრე ასეული და კაზაკი ეისკის პოლკის ნაწილები, რომლებიც წიფის გვირაბს იცავდნენ, რის გამო ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის წასვლა დასავლეთ საქართველოსაკენ შეუძლებელი იქნა.“ ასეთი მემორიალები სხვაც ბევრია რაიონში. და-ყოველი ასეთი ადგილი გამოყენებულია ახალგაზრდობის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე აღზრდისათვის.

ს. ორჯონიკიძის და ლ. თაბუკაშვილის სახელები იქცა იმ დიდი მეგობრობის გზად და ხიდად, რომლებიც აკავშირებს იმერეთის ამ მთიან რაიონს იაკუტიის ასსრ ორჯონიკიძის სახელობის და უკრაინის სსრ ჟიტომირის ოლქის კორესტენის რაიონების მშრომელებთან.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმას, რომ ეს ინტერნაციონალური მეგობრობა კიდევ უფრო განმტიცდეს, გაფართოვდეს და ჩვენი შემდგომი წინსვლის მძლავრ ბერკეტად იქცეს. ტრადიციად დამკვიდრდა სოციალისტური შეჯიბრება და დელეგაციების გაცვლა ამ მანძილით შორეულ, მაგრამ გულითა მახლობელ მეგობრებთან. რაიონის ერთ-ერთი მძლავრი სოფლის კიცხის კოლმეურნეობას შრომითი პაექრობა აქვს იაკუტიის ასსრ საბჭოთა მეურნეობა „ორჯონიკიძეს-კისთან“ და კორესტენის რაიონის სოფელ ქალენსკოეს კოლმეურნეობასთან. კიცხელ კოლმეურნეთა თაგეაცი, სოციალისტური შრომის გმირი ტ. მაჭავარიანი ხშირად უზიარებს აზრს და მსჯახენლობს თავის შრომითს მეტოქე მეგობრებს — ზემოაღნიშნულ მეურნეობათა ხელმძღვანელებს. ამ დიდ საქმეში თავის სიტყვას ამბობს აგრეთვე ჩვენი რაიონული გაზეთი „ლენინის დროშით“, რომელიც ხშირად ბეჭდავს გაცვლითს გვერდებს.

ხალხთა მეგობრობის დიდ ზეიმად იქცა ს. ორჯონიკიძის დაბადების 90-ე წლისთავი და ლ. თაბუკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. იაკუტელ და უკრაინელ მეგობრებს გულთბილი შეხვედრები მოუწყვეს რაიონული კულტურის სახლში, სოფელ ღორეშაში, კიცხში, მარელისის ავიჯის ფაბრიკაში. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა იმ ფაქტმა, რომ უკრაინელი მოქანდაკის მიერ გამოძერწილი ალმოქაფილი ომის გმირის ლ. თაბუკაშვილის ბიუსტი თვით უკრაინელებმა ჩამოგვიტანეს საჩუქრად და რაიონის ცენტრში დადგეს. ჩვენთვის დაუვიწყარი იქნება აგრეთვე „მოსფილმის“ იმ შემოქმედებითს ჯგუფთან შეხვედრა, რომელმაც შექმნა ს. ორჯონიკიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფართოეკრანიანი ფილმი „ვიღაც ჩემს თავზე“.

ეფროსების ბაკალეულ გზას მოსწყვლე ახალგაზრდობაც გაჰყვა. რაიონის საშუალო სკოლებს მოსწავლეებს ინტერნაციონალური, მეგობრული ურთიერთობა აქვთ უკრაინელ, ყაზახ, ყირგიზ, ლიტველ, ლატვიელ, ბელორუს, ესტონელ თანატოლებთან. ეს იმის შედეგიც არის, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მამა-პაპათა სახელოვანი ტრადიციებით ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემებს.

რაიონში ტრადიციად დამკვიდრდა შეკრებები — „ქალაქი — სოფელს“.

ამ მხრივ დიდი ინტერესი გამოიწვია შეხვედრამ დიდაქალაქის მუშათა კლასის ღირსეულ წარმომადგენლებთან სოციალისტური შრომის გმირთან გ. კურტანიძესთან და გ. გაჩეჩილაძესთან, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებთან თ. დეკანოსიძესთან, ი. კუკულირიძესთან, ს. ბუაჩიძესთან, დ. აბამიძესთან და სხვებთან, რომლებიც ზემო იმერეთის ამ რაიონში დაიბადნენ. იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მძლავრ ბერკეტად მიგვაჩნია აგრეთვე ჯოტი ჯარისაკის მირზა გელოვანის, პროფესორ გ. თავზიშვილის ხსოვნის საღამოები, შეხვედრა მცირემოწეულთან, იტალიაში მებრძოლ პარტიზანებთან...

და ისევ დიდი სერგოს ნაკვალნარის შესახებ. აქ ეწყობა პარტიული განათლების სისტემის სკოლების გასვლითი მეცადინეობები, აქ იღებენ კომკავშირის რიგებში, მუშაობს ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. ამ სახლში ხშირად ნახავთ ჩვენი რაიონის სახელოვან ადამიანებს, სოციალისტური შრომის გმირებს ზ. კიკნაძეს, მ. კიკნაძეს, ტ. მაჭავარიანს, კ. ჩიტაძეს, რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს ნ. კვინიკაძეს, რ. თხელიძეს, ლენინის ორდენოსნებს ლ. შერგელაშვილს, ი. ნიქაბაძეს, ნ. კვამლაძეს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსნებს მ. სხილაძეს, ა. მაჭავარიანს და ბევრ სხვას.

რადგან მშრომელთა სახელოვანი წარმომადგენლები ვახსენეთ, თამამად შეგვიძლია ითქვა, რომ რაიონის მშრომელები, მისი პარტიული ორგანიზაციები ღირსეულად შეხვედრას უპმადებენ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთვის ზეიმს.

ხოლო იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავაკეთეთ „ლენინური“ ამ მიზნით, ორიოდე ციფრსაც მოვიყვან: ხუთწლედის [illegible] ლილ პერიოდში ვაშენებთ 1.400 ათასი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციას, სამშობლოს მივყიდეთ ეგეგმთი გათვალისწინებულზე მეტი ყურძენი, ხორცი, რძე, კვერცხი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

დიდი, პასუხსაგები ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი წელსაც. ქვეყანას უნდა მივყიდოთ 6.000 ტონა ყურძენი, 4.000 ტონა ხილი, 1210 ტონა რძე, 906 ტონა ხორცი და სხვა პროდუქტები. მართალია, წელს ბუნებამ იმერეთელა, მაგრამ ჩვენი მშრომელების თავდადებული გარჯის წყალობით მოსავალს საკვეთესო პირი უჩანს, და ამიტომაც სრული რწმენით ვაცხადებთ, რომ რაიონი წელვანდელ და მთლიანად ხუთწლედის დავალებებს გადაჭარბებით შეასრულებს. ეს რევოლუციური, საბრძოლო, ინტერნაციონალური და შრომითი აღზრდის იმ მრავალფეროვანი ფორმების ლოგიკური შედეგია, რომელთა მიზანსწრაფულად გამოყენებას ცდილობენ და კიდევაც იყენებენ პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

შ. დევდარიანი,
საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი.

საგანგებო წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში „შრომითი შეტაკებისა და ეროვნული ოლიმპიადაში აქტიური მონაწილეობისათვის, მხატვრული თვითმოქმედების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭათ საპატიო წოდებანი:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა“:

ლომთათიძეს მურმან ალექსანდრეს ძეს — საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის მთავარ ქორეოგრაფს, თვითმოქმედ ანსამბლო „თბილისის“ ხმამხატვრო ხელმძღვანელს; **ჯაფარიძეს** გიგა შალვას ძეს — ონის კულტურის რაიონული სახლის სახალხო თეატრის რეჟისორს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა“:

ბახტაძეს გივი ილიას ძეს — ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სახლის აკადემიური გუნდის დირიჟორს; **სვანიძეს** ბესარიონ ანტიპოს ძეს — საქართველოს სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხალხურ-ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფორდას“ ხელმძღვანელს; **კუბლაშვილს** იუზა დავითის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კაპელის დირიჟორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა“:

დადიანს ნინო დავითის ასულს — ილია ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მეშვაკთა კულტურის სახლის სოლისტს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უფროს ექიმ-ლაბორანტს; **ჩიქოვანს** ზურაბ გრიგოლის ძეს — ილია ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მეშვაკთა კულტურის სახლთან არსებული საოჯახო ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელს, ქ. თბილისის მთავარ ფსიქიატრს; **ხუდავერდოვს** ენვერ ჰუსეინის ძეს — საქართველოს კომკავშირის სახელობის კულტურის სახლის აზერბაიჯანულ ანსამბლ „სევინჯის“ ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“:

ალთუნაშვილს შოთა რევაზის ძეს — ახალციხის კულტურის რაიონული სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დირიჟორს; **ბოჭორიშვილს** მარგო არქიპოს ასულს — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის კლუბთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობს, მქსოველს; **გასანოვს** ჰუსეინ ყურბან ოღლის — აშეულს — აზერბაიჯანული ხალხური სიმღერების შემსრულებელს, ბოლნისის კულტურის სახლის მესაზეთა თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელს; **დეისაძეს** ვიქტორ ნიკიფორეს ძეს — ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სახლის თეატრის მსახიობს, პენსიონერს; **ებანოიძეს** ნოე გბორგის ძეს — გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის დირიჟორს; **ვაშალომიძეს** ვარლამ მიხეილის ძეს — მახარაძის კულტურის რაიონული სახლის გუნდის ხელმძღვანელსა და სოლისტს; **თოდაძეს** პაველ ვიქტორის ძეს — ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სახლის თეატრის მსახიობს, პენსიონერს; **თორდიას** ზაურ ტერენტის ძეს — აბაშის კულტურის რაიონული სახლის დირიჟორს, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტსა და ქორეოგრაფს; **კუპატაძეს** რო

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯურნალი

საბჭოთა და უცხოელი ავტორების სამეცნიერო კორესპონდენტები ვუპასუხებენ

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნიკის, განათლებისა და კულტურის შემდგომი განვითარების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 18 ოქტომბერს მიიღეს დადგენილება „სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის შემდგომ ღონისძიებათა შესახებ“. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროდ იქნა მიჩნეული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის რეორგანიზაცია და სათანადო სპეციალიზებული საბჭოების შექმნა.

დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სპეციალიზებული საბჭოები ვალდებული არიან დასაცავად მიღონ მხოლოდ ისეთი სადისერტაციო ნაშრომები, რომელთაც აქვთ სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, ხოლო თვით დისერტაციების დაცვა მოაწყონ ნაყოფიერი, შემოქმედებითი დისკუსიის, მაღალი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის ვითარებაში.

საბჭოთა კავშირში სამეცნიერო პოტენციალის გაუმჯობესებასა და ამაღლებას ემსახურება აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1975 წლის 25 დეკემბერს დამტკიცებული დებულება სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა და სამეცნიერო წოდების მიკუთვნების წესის შესახებ. დებულებით განსაზღვრულია სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის სისტემა, უმაღლესი საატესტაციო კომისიისა და სპეციალიზებული საბჭოების უფლება-მოვალეობანი, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მოთხოვნებისათვის წარდგენილი მასალების, საკანდიდატო გამოცდების ჩაბარებისა და დისერტაციების დაცვის წესი.

ეროვნულ მეცნიერებას — ფართო გზა!

სამეცნიერო ხარისხის დაცვის საქმის სრულყოფისათვის

••

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა მკვეთრად გაუმჯობესა და ახალ საფეხურზე აიყვანა საბჭოთა კავშირში სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის საქმე, რასაც მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

70-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ჩამოყალიბდა სპეციალიზებული საბჭოები. ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ სპეციალიზებულ საბჭოებში დისერტაციების დაცვა მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენაზე — მაძიებლის სურვილის შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1975 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული დებულების 83-ე მუხლით; ხოლო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული მასალები, მათ შორის დისერტაციებიც იგზავნება უმაღლეს საატესტაციო კომისიაში რუსულ ენაზე. ეს სამუალებას იძლევა რუსულ ენაზე შესრულებულ ან ნათარგმნ ნაშრომებს გაეცნოს ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობა.

უმაღლესი საატესტაციო კომისიის პრეზიდიუმის 1976 წლის 26 მარტის დადგენილებაში, რომელიც განსაზღვრავს სამეცნიერო ხარისხის მინიჭებისა და სამეცნიერო წოდების მიკუთვნების დებულების 83-ე მუხლს, აღნიშნულია: „რაც შეეხება მოთხოვნას დაცვის ყველა მასალის და მათ შორის დისერტაციების უმაღლეს საატესტაციო კომისიაში რუსულ ენაზე წარდგენის შესახებ, ეს უპირველეს ყოვლისა ეხება სათანადო საბჭოებს, რომლებიც აფორმებენ და წარადგენენ საატესტაციო საქმეს“.

როგორც გამოცდილებამ ცხადყო, ამ მოთხოვნის მთლიანად შესრულება ამჟამად აღემატება ჩვენს რესპუბლიკაში არსებული სპეციალიზებული საბჭოების შესაძლებლობებს. დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე დაცული დისერტაციებისა და უმაღლეს საატესტაციო კომისიაში წარსადგენი მასალების, რუსულ ენაზე თარგმნის მოწესრიგება და თარგმანის ხარისხის სრულყოფა. ეს, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, განათლებისა და კულტურის დარგებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურის საგრძნობ ნაწილს შეადგენს სადისერტაციო ნაშრომები. ცხადია, დაცვის შემდეგ ამ ნაშრომების რუსულ ენაზე დროული და მაღალხარისხოვანი თარგმნა იმას ნიშნავს, რომ ჯერჯერობით წარუდგენია თანამედროვე ქართული საბჭოთა მეცნიერების ეს ფრაგმენტი. ეს ამცირებს ინფორმაციის ფასდაკლებას, ეხმარება ავტორებს, ეხმარება ეროვნული მეცნიერების ფართოდ ცნობილ ლიდერებს, ეხმარება ეროვნული მეცნიერების ფასეულობის ამაღლებაში.

ეს ფრაზა ეკუთვნის ... ...

როდის ცდებიან დიდები?

თამრიკო გაიპარა. ესე იგი გათხოვდა.

— გაუკვირდება, ჯერ ჩვიდმეტისაც არ არის: სწავლა, ოჯახი, ბავშვი, ქმარი, — შფოთავს, ადგილს ვერ პოულობს დედა. კოპებშეკრული დუმს მამა.

ნათესავთა შეგონებანი: რა მოხდა, ახლა ვიღა უკვდის ხელის მოწერას? წინათ უფრო პატარებიც თხოვდებოდნენ, მაგრამ დიდებულ ოჯახებს ქნიდნენ...

— წინათ ასე იყო, ახლაც რამდენს უმართლებს ნაადრევი ქორწინება? — მეტყვიან ხოლმე უფროსკლასელები (ფაკულტატური მეცადინეობა — „სოოჯახო ცხოვრებისათვის უფროსკლასელთა ზნეობრივი მომზადება" — უკვე დაიწყო თბილისის 81-ე და 101-ე საშუალო სკოლებში).

მართლაც, რა მოხდა? ნაადრევი ქორწინება ხომ ყველაზე წმინდა და გულწრფელ გრძნობას ეყრდნობა. ახალგაზრდა პარტნიორები გაცილებით ადვილად უნდა შეეთვისონ ერთმანეთს, რადგან ჩვენები ჯერ მყარად არა აქვთ გამჯდარი, სიძნელეებიც ახალგაზრდული ამტანობით უნდა დაძლიონ; ნაადრევი ქორწინება სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისითაც გამართლებული უნდა იყოს—ახალგაზრდა წყვილი ადრევე წარმოქმნის შთამომავლობას...

მაგრამ სოციოლოგები ამტკიცებენ: ქორწინების გაახალგაზრდავებასთან ერთად გახშირდა ახალგაზრდათა განქორწინება. მატერიალურმა კეთილდღეობამ ვერ შეამცირა განქორწინებათა რიცხვი. საჭიროა სერიოზული, სისტემატური მუშაობა მატერიალურისა და სულიერის, ბიოლოგიურისა და სოციალურის ჰარმონიის მისაღწევად.

დიახ, ქორწინებისთვის მხოლოდ ფიზიკური სიმწიფე არ არის საკმარისი. აუცილებელია სოციალური სიმწიფეც: დასრულებული განათლება, სტაბილური პროფესია, შრომითი აქტიურობა, ორგანიზატორული ფუნქციების შესრულების უნარი. სოციალური სიმწიფე — ეს არის მზადყოფნა სოციალური როლების შესრულებისათვის, მატერიალური და მორალური პასუხისმგებლობა ოჯახის შექმნისათვის, სხვებზე ზრუნვისათვის.

წინათ ადრე ქორწინდებოდნენ. ამას თავისი გამართლება ჰქონდა: ხანმოკლე სიცოცხლე და დიდი სიკვდილიანობა აუცილებელს ხდიდა, რომ ყმაწვილი მალე გამხდარიყო დიდი. შეფის რუსეთში 8-12 წლის ბავშვები უკვე მოუპობდნენ მინდვრად და ფაბრიკა-ქარხნებში. ძნიმე სოციალურ პირობებში ბავშვები სოციალურ სიმწიფეს ადრე აღწევდნენ.

კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ახალგაზრდობის ასაკობრივი მაჩვენებელი შეიძლება მერყეობდეს 16-დან 30 წლამდე.

ვ. ი. ლენინს თავის ერთ-ერთ სტატიაში მოჰყავს ნ. ჩერნიშევსკის სიტყვები: თუ არ შეიძინა საზოგადოებრივ საქმეებში დამოუკიდებელი მონაწილეობის ჩვეები, თუ არ შეიძინა მოქალაქეობრივი გრძნობები, მამრობითი სქესის ბავშვი, როცა გაიზრდება, ხდება ჯერ საშუალო, ხოლო შემდეგ ჭარმაგი ასაკის მამრობითი სქესის ინსანი, მაგრამ მამაკაცი იგი არასოდეს არ გახდება ან, ყოველ შეთხვევაში, არ გახდება კეთილშობილური ხასიათის მამაკაცი. შეხედულებათა და ინტერესთა დაწერილმანება აისახება მის ხასიათსა და ნებაში.

ქორწინება უმაღლესი მიზანია. ერთია ადრეული რომანტიკული გრძნობა და სულ სხვა — ადრეული ქორწინება. მართალია, გრძნობის მომენტის გარეშე სიყვარული არ არსებობს, მაგრამ იგი ზნეობის მომენტის გარეშეც ხანმოკლე აღმოჩნდება ხოლმე. ოჯახში იკმაყოფილებს ადამიანი მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს: სიყვარულის, დედობის, მამობის მოთხოვნილებებს. მაგრამ ამავე დროს ოჯახი ახალგაზრდა წყვილის წინაშე წარმოშობს მრავალ პრობლემას, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გაცნობიერებულ ბულ მოვალეობაზე და ამ მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო უნარსა და ნებისყოფაზე. ამიტომ უწოდა ქართველმა ხალხმა ოჯახს უღელი, ხოლო ცოლსა და ქმარს — მეუღლეები.

ის, თუ როგორი შეხედულებანი არიან ახალგაზრდები სიყვარულზე, ოჯახურ ბედნიერებაზე, მამაკაცისა და ქალის ღირსებაზე, როგორი იქნება მათი სოციალური განწყობილება მეოჯახე ქალისა თუ მეოჯახე მამაკაცის როლისადმი, ამავე დროს როგორი იქნება მათი ურთიერთობის კულტურა (საკუთარი თავისადმი მოთხოვნელობა, ურთიერთდახმარება, დამთმობლობა, მეუღლის ზოგიერთ ნაკლზე მოთმინებით ზემოქმედება), განსაზღვრავს მათ მიერ ოჯახის სოციალური ფუნქციების შესრულების უნარს.

ჩვენი ანკეტური გამოკითხვისა და მოსწავლეთა მიერ დაწერილი თავისუფალი თემის — „როგორ მესახება ოჯახური ბედნიერება" — მასალები მოწმობს, რომ ახალგაზრდები ცალკე, დამოუკიდებელ ცხოვრებას ესწრაფვიან. ცალკე ცხოვრებას სურვილს მეტწილად იმას უკავშირებენ, რომ „მშობლები ვერ გაგიგებენ".

უფროსკლასელთა 43 პროცენტმა (გამოკითხულია 775 თბილისელი მოსწავლე) სურვილი გამოთქვა ჰქონდეს „პატარა ეზოიანი სახლი":

„მინდა მქონდეს პატარა, ოღონდ ჩემი გემოვნებით მოწყობილი ეზოიანი სახლი. ერთი ოთახი ჩემი და ჩემი შეუღლის იყოს, მეორე — ბავშვის, მესამე — ბებლიოთეკა, მეოთხე კი მინდა იყოს სულ ცარიელი, იატაკზე ეფინოს დათვის ტყავი, ზედ —მაგნეტოფონი. საერთოდ, ძალიან მიყვარს მუსიკა, როგორც კლასიკური, ისე ჯაზი და პოპ-მუსიკა". (მეცხრეკლასელი გოგონა).

მხოლოდ ოცნება, წარმოსახვა... ამ ოცნების განხორციელების გზებსა და საშუალებებზე კი მხოლოდ გამოკითხულთა 22 პროცენტი ფიქრობს.

ყურადსაღები გარემოება: უფროსკლასელთა უმრავლესობა ოჯახური ბედნიერების ცნებას ნაკლებად უკავშირებს მეუღლეთა ურთიერთგაგებას, ცოლ-ქმრის შეხედულებების, მისწრაფებების ერთობას, საოჯახო, შრომაში ურთიერთდახმარებას.

ოჯახის სიმტკიცის საფუძვლად სიყვარული მიიჩნია გამოკითხულთა 100 პროცენტმა, ბავშვების სიყვარული — 37, ინტერესთა ერთობა — 67, საოჯახო შრომაში ურთიერთდახმარება — 58, მატერიალური უზრუნველყოფა — 63, საოჯახო ყოფითი ცხოვრების ორგანიზაცია — 36 პროცენტმა.

იდეალურისადმი სწრაფვა, მთელი იმედის სიყვარულზე დამყარება ამ ასაკისთვის კანონზომიერია. მაგრამ სასურველსა და სინამდვილეს შორის თანაფარდობის დარღვევა, — როცა სასურველი თითქმის სინამდვილეზე არის მიჩნეული, ხოლო ცხოვრებისეული სირთულეები თითქმის მთლიანად მივიწყებულია, — მომავალ ცხოვრებაში ახალგაზრდებს დიდ სიძნელეებს უმზადებს. იმის გამო, რომ უფროსკლასელებს არა აქვთ ცხოვრების საკმარისი გამოცდილება და ნოველისთა ობიექტური შეფასების უნარი, მომავალში ისინი ეძებენ და „ხედავენ" კიდეც იმას, რაც თვითონ სურთ.

და აი იწყება სიყვარულის გამოცდა ოჯახური ცხოვრებით, პასუხისმგებლობით, მოვალეობით. პირველი სიძნელეების წარმოშობისთანავე ხშირად ირკვევა, რომ ახალგაზრდებს მოლოდინი არ გაუმართლდათ. სხვას ელოდნენ და სულ სხვა დაზედათ. მოლოდინის ეს გაუმართლებლობა ართულებს ახალგაზრდა მეუღლეთა ფსიქოლოგიურ შეგუებას. მოლოდინის გაუმართლებლობამ შეიძლება მოიცვალოს ოჯახური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს: საყოფაცხოვრებო ინტიმურ-ემოციური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური...

ახალგაზრდის ცხოვრებისეული პოზიცია, საკუთარი და სხვისი ინტერესების თანაფარდობის შეგნება ოჯახში ყალიბდება, ბავშვობის წლებში. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, ოჯახში მისი ქცევა, საოჯახო შრომაში მონაწილეობა — აი, რა განსაზღვრავს შემდგომ მის ჩვევებსა და ხასიათს. ბედნიერების განცდაც ოჯახის წინაშე წამოჭრილ სიძნელეთა დაძლევით მიიღწევა.

ჩვენი ანკეტური გამოკითხვის მასალების მიხედვით შეინიშნება უფროსკლასელთა ნეგატიური დამოკიდებულება საოჯახო შრომისადმი, მათ მონაწილეობას ამ შრომაში არა აქვს სისტემატური ხასიათი. გოგონებიც და ვაჟებიც საოჯახო დავალებებს მეტწილად იძულებით, დედის მოთხოვნით ასრულებენ. ბიჭების მონაწილეობა საოჯახო შრომაში მხოლოდ თვითმმართველობით შემოიფარგლება (52 პროცენტით).

საყურადღებოა ისიც, რომ უფროსკლასელი ბიჭების 76 პროცენტმა ქალის საქმედ აღიარა ბავშვების მოვლა და აღზრდა, კერძის მომზადება, ბინის დალაგება, რეცხვა. ამავე დროს უფროსკლასელთა გოგონების 87 პროცენტს მიაჩნია, რომ მამაკაცები უნდა მონაწილეობდნენ ბავშვების აღზრდაში და ზოგიერთი სახის საოჯახო საქმეთა შესრულებაში. გოგონების 43 პროცენტმა საოჯახო შრომის „გარეთ გატანის" (ანუ საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულება) სურვილი გამოხატა.

საოჯახო შრომის ერთმანეთისთვის დაკისრება, შრომის ტვირთისგან განთავისუფლების ტენდენცია, მთლიანად საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე დაყრდნობა ხშირად მოლოდინის გაცრუებას იწვევს და ეს ეფექტი საფუძველად ოჯახურ უსიამოვნებებს. ამას ისიც ემატება, რომ 17-18 წლის ახალგაზრდას მრავალნაირი სოციალური როლი აკისრია; იგი ან აბიტურიენტია, ან სტუდენტი, ან ტექნიკუმის მოსწავლე, ნაადრევი ქორწინების დროს ამას ემატება მეუღლის, დედის, მამის სოციალური როლი, რაც ხშირად როლების კონფლიქტამდე მიდის.

ჩვენ, შშობლები, კონფლიქტებიდან გამოსავალს ვეძებთ — ვეხმარებით ყოველმხრივ, მაგრამ განა ეს გამოსავალია? ოჯახი, რომელიც სხვისი შემყურეა, დღეს თუ ხვალ „ინფანტილურ" ოჯახად იქცევა. ახალგაზრდა წყვილში ამ დროს ხდება ბავშვისა და დიდის რაღაც დამახინჯებული შერწყმა. ასეთ წყვილს, დიახაც, მოსწონს ბავშვის როლის თამაში, რადგან სურს თავისუფალი იყოს იმ პასუხისმგებლობისა და მოვალეობისაგან, რომელიც როგორც დედას, ისე მამას ეკისრებათ, მაგრამ, სამაგიეროდ ასევე ძალიან მოსწონთ დიდობის უფლებები.

ახალგაზრდა მეუღლის რწმენა, რომ ყოველისშემძლე სიყვარულის გულისთვის პარტნიორი ისე „გადაკეთდება", ისე შეიცვლის ხასიათს, როგორც მას სურს, ვერ ხორციელდება. მეუღლეთა ურთიერთშეთვისებისათვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი უბარი, როგორიც არის მოთმენა, დათმობა, მეუღლის ნაკლზე ტაქტიანი ზემოქმედება, აღზრდით, წლებით შეძენილი გამოცდილებით მიღების ხოლმე. ოჯახური ცხოვრება ახალგაზრდა წყვილისთვის მოსაწყენი ხდება და ისინი თავის დაღწევას განქორწინებაში ხედავენ.

განქორწინება კი იმ პროცესის შედეგია, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო, მაშინ, როცა ჩვენი შვილი გვთხოვდა — „მომეცი, დედა!" — ეს თხოვნა დაჟინებულ მოთხოვნაში გადადიოდა, შემდეგ—ტირილში და ასე თანდათან ყალიბდებოდა ჩვენ შვილში „მე მინდას" შესრულების მოთხოვნილება. ჩვენ კი მისგან თითქმის არასოდეს არ ვითხოვდით და ძალიან იშვიათად გვესმოდა: „ალა, დედა"! ჰოდა, თუ მოზარდმა დედისთვის ვერ გაიღო სიკეთე, საკუთარი და-ძმისათვის ვერ შეძლო „მე მინდას" მოთოკვა, შემდეგში „სხვას უნდას" როგორღა გაუწევს ანგარიშს?

დიახ, ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს შვილებზე, ვარიდებთ „მაგ" საქმეშაოს, აქაოდა, დრო არ დაკარგონ — ისწავლონ, იკითხონ, სპორტს მისცდიონ, არ გადაიღალონონ. თავად უზომოდ ვიღლებით, მათ კი არ ვაწუხებთ, განა მერე გასაკვირია, თუ ბავშვებს გაუჩნდებათ რწმენა: უფროსები მხოლოდ იმიტომ არსებობენ, რომ ჩვენ უნდა მოგვემსახურონონ.

15-17 წლის შვილი ბავშვი გვგონია. ეს ბავშვი კი უკვე შეყვარებულია.

რა არის სიყვარული? როგორ ეფიო ბედნიერი? — ფიქრობს, წვალობს ჩვენი შვილი, პასუხის გამცემი კი არავინა ჰყავს. აი, რას წერს მეცხრეკლასელი გოგონა: „ვფიქრობ გულახლილად — ზმრიად გოგოები თხოვდებიან იმის გამო, რომ სხვა მათი ტოლი გათხოვდა, ანდა, მაგალითად, ბიჭი მოგვეწონა, იმ ბიჭმა სხვა მიაქცია ყურადღება. შესაძლებელია, იმ ბიჭის ჯინაზე გოგო გათხოვდეს. ერთი ჩვენი კლასელი დედამ გაამარაზა. ადგა და, იმის ჯინაზე გათხოვდა. ბევრს ისიც აინტერესებს, რა არის ეს გათხოვება..."

ყოველ ასაკს თავისი დამახასიათებელი თავისებურება აქვს: ყოველ ასაკს — თავისი ღირსება. ჭაბუკობის ასაკისთვის დამახასიათებელ ღირსებას თუ ხელს ჩავიგლეშთ, წარმოვაჩენთ, მას პიროვნების სიმდიდრედ ვაქცევთ. თუ ვერ მოვახერხეთ — ეს ღირსება დაიკარგება.

აი, რა არის ჩვენი ამოცანა, აი, სად იღებს სათავეს უფროსი თაობის სასაყვედურო და სამადლობელო.

რ. ირემაშვილი,
გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

ექვსი წლის შემდეგ...

5 სექტემბერს ვილნიუსში იწყება ქალთა შორის მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან დიდოსტატები ნანა ალექსანდრია (თბილისი) და მარტა ლიტინსკაია (ლვოვი).

ნანა ალექსანდრია, რომელიც დიდ ჭადრაკში ჯერ კიდევ 1964 წელს გამოჩნდა, მას შემდეგ წარმატებებით მონაწილეობს მრავალრიცხოვან შეჯიბრებებში. საკავშირო ჩემპიონატები (ნანა სამჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი), საერთაშორისო ტურნირები, ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადები, საქართველოს პირველობა ვაჟთა შორის — ასეთია გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკის სარბიელი. და აი, გასაოცარი რა არის — მთელი ამ 17 წლის განმავლობაში ძნელია დასახელო თუნდაც ერთი შეჯიბრება, სადაც ნანას რამდენიმე შესამჩნევი მარცხი მაინც განეცადოს. რა თქმა უნდა, ყოველთვის პირველი ვერ იქნება, მაგრამ, ეტყობა, ალექსანდრიას რაღაც თავისებური იმუნიტეტი აქვს, სპორტული წარუმატებლობისაგან რომ იფარავს. ასეთი იმუნიტეტის მეგნება კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

პრეტენდენტთა შეჯიბრებაში ალექსანდრია უკვე ზედიზედ მეუთოვედ მონაწილეობს. 1975 წელს, მან, როგორც მოგეხსენებათ, დიდი მატჩი ითამაშა მსოფლიო პირველობაზე და, სხვათა შორის, მის შემდეგ ერთხელ კიდევ გვიჩვენა დიდი სპორტული სიმტკიცე — ღირსეულად გადაიტანა მატჩის წაგება. თუ სხვები ამის შემდეგ ხანგრძლივ შემოქმედებითს კრიზისს განიცდიან, მსგავსი რამ ნანას არ დასტყობია. მან საკუთარი შეინარჩუნა თავისი დიდი საჭადრაკო ძალა, უფრო მეტიც, უკეთ დაიწყო თამაში.

ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ალექსანდრია შესანიშნავ წარმატებებს აღწევს. რომელი ერთი ჩამოთვალოთ: ორი საერთაშორისო ტურნირის მოგება იუგოსლავიაში თუ ყველა პარტიაში გამარჯვება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ნაკრების მატჩში, რიო-დე-ჟანეიროს საზონათშორისო ტურნირი თუ ქალთა უკანასკნელი საკავშირო პირველობა! ქართველ მოჭადრაკეს დიდი შემოქმედებითი აღმავლობა აქვს, მან გულშემატკივრები შეაჩვია მუდმივ წარმატებებს.

პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში წილისყრამ ნანა კრასნოიარსკელ დიდოსტატ ელენე ანმიელოვსკაის შეახვედრა. საინტერესოა, რომ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე მანამდე სრულიად უცნობი ახმილოვსკაია მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გახდა. მის წარმატებებს მიეძღვნა ჟურნალისტ ფრადკინის წიგნი „ზეაღსელა". მართლაცდა, ახმილოვსკაიამ ორ საზონათშორისო ტურნირში გაიმარჯვა, პირველი პრიზი მოიპოვა რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში, თავი გამოიჩინა ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაში (10 ქულა 10 შესაძლებლიდან) და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში. თვით ალექსანდრია ახმილოვსკაიას საშიშ და უხეხულ მეტოქედ მიიჩნევდა, მეტისმეტი გულმოდგინებით, სერიოზულად მოემზადა მატჩისათვის და, როგორც შემდეგ გამოირკვა, ქართველი მოჭადრაკის სადებიუტო მომზადება (დებიუტს ამ ორთაბრძოლაში დიდი მნიშვნელობა მიენიჭა) უზადო იყო. როცა რაიმე ვარიანტის წინაღმდეგ ახმილოვსკაია კარგ ცოდნას ამჟღავნებდა, ალექსანდრია „პორტფელიდან" უკვე სხვა სადებიუტო სქემას იღებდა. ეს ექსპერიმენტები გაგრძელდა, სანამ ნანამ საბოლოოდ არ მიაგნო „სუსტ პუნქტებს" კრასნოიარსკელის ბანაკში.

მატჩის ბედი (იგი ალექსანდრიამ მოიგო ანგარიშით 5,5:3,5) მარტა სადებიუტო მომზადებას როდი გადაუწყვეტია. მოვუსმინოთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს დიდოსტატ ირინე ლევიტინას: „ვფიქრობ, რომ ნანას წარმატებაში საკმაოდ დიდი როლი მისმა კარგმა ფსიქოლოგიურმა მომზადებამაც შეასრულა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ალექსანდრიას სტილი უფრო უნივერსალური გახდა. მოჭადრაკე აღმავლობის გზაზეა, რაც დამატებაც კიდეც მისმა ახალმა ბრწყინვალე წარმატებამ — შეორე-მესამე ადგილების გაყოფამ საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში".

მაშ ასე, ახლა ალექსანდრიას უკვე ახალი მეტოქე ჰყავს — დიდოსტატი მარტა ლიტინსკაია. თუ გნებავთ, ახალიც და ძველიც, იმიტომ, რომ მათ შორის 1974 წელს უკვე გაიმართა ერთი მატჩი პრეტენდენტთა ბრძოლის მეოთხედფინალურ ეტაპზე, ანგარიშიც იყო 5,5:2,5 ალექსანდრიას სასარგებლოდ. ჩვენ ვესწრებოდით რიგაში ამ მატჩს და გვინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ ეს ანგარიში სავსებით ობიექტურად ასახავდა ძალთა თანაფარდობას. ნანა ლვოველს (რომელიც 1973 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა) ყოველგვარი ფალესსიონალიზმი აღემატებოდა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ერთხანს ლიტინსკაიას თამაში გაუფერულდა, მაგრამ ბოლო წლებში მის შემოქმედებაში ახალი აღმავლობა დაიწყო. მოვუსმინოთ ისევ ლევიტინას. „ძნელია შეორე მოჭადრაკის მონახვა, რომელსაც ასეთი ნებისყოფა, ასეთი სპორტული გაწყობილება, დაფასთან ასეთი შრომისუნარიანობა ჰქონდეს. ზოგჯერ საწყენიც კი იყო, რომ მისი თავისთავადი სტილი — რაციონალური, გარეგნულად ზედმეტად მშრალი და არაეფექტური — მაყურებელთა სათანადო გამოხმაურებას ვერ პოულობდა".

ლიტინსკაიას რომ მართლაცდა უდიდესი ნებისყოფა აქვს, ეს უკანასკნელ შეჯიბრებებში დამტკიცა. დავიწყოთ იმით, რომ მას არა ჰქონდა პრეტენდენტთა ამ ციკლში გამოსვლის უფლება. მას შემდეგ, რაც კუშნირმა თამაშზე უარი განაცხადა, დაინიშნა დამატებითი მატჩი 6 პარტიისაგან ლიტინსკაიასა და ახალგაზრდა ოსტატ ფიშდიკს (გფრ) შორის პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზურისათვის. სამი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო... 3:0 ფიშდიკის სასარგებლოდ: აქ წონასწორობას, ვინც გნებავთ, ის დაკარგავდა. ბიწვის გაწყვეტას აღარაფერი უკლდა, მაგრამ შემდეგ გასაოცარი ამბები მოხდა. ვითომც აქ არაფერიაო, ლიტინსკაიამ მოიგო სამი დარჩენილი პარტია, შემდეგ დამატებითს შეხვედრებში უპირატესობას მიაღწია და პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. იგი მეოთხედფინალში ლეშაჩკოს (ბულგარეთი) შეხვდა. ლეშაჩკოს იშვიათი ნებისყოფისა და სიმტკიცის თვალსაზრისით ბევრი რამ აქვს საერთო ლიტინსკაიასთან, მაგრამ ლიტინსკაია მაინც მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა.

ამას წინათ საკავშირო საჭადრაკო ფედერაციამ გამოაქვეყნა ქვეყნის მოჭადრაკეთა ინდივიდუალური კოეფიციენტების ცხრილი. მასში ალექსანდრიას 2364 ქულა აქვს, ლიტინსკაიას კი — 2329. ესეც რომ არ იყოს, ვილნიუსის მატჩში, მართალია, მეტად შეუპოვარი თამაშია მოსალოდნელი, მაგრამ ქართველ მოჭადრაკეს მაინც უკეთეს შესაძლებლობებს ანიჭებენ. მისი კლასი უფრო მაღალია, მიღწევები — უფრო ძნიშვნელოვანი, სტილი — უფრო მომხიბლავი. ყოველმხვეს ეს ჩვენ სასოებას გვაძლევს მატჩის ფავორიტად ალექსანდრია მივიჩნიოთ. თუმცა სავსებით ვითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ მისი მდგომარეობა იოლი არ იქნება. ალექსანდრიამ ვილნიუსში რთული პრობლემები უნდა გადაწყვიტოს. ეს არც შეიძლება სხვანაირად მოხდეს — ბრძოლა ხომ მსოფლიო პირველობის უშუალო მისადგომებთან მიმდინარეობს.

ბაიტნოტი, ისევ ბაიტნოტი!

ვინ მოთვლის, მეტოქის რამდენ პარტიას აანალიზებს მოჭადრაკე მატჩის წინ! ამას წინათ საჭადრაკო პრესაში გამოჩნდა ცნობა რომ ჰიუბნერმა პორტიშთან მატჩის წინ გაარჩია უნგრელი დიდოსტატის 2700 (!) პარტია. ჩვენ არ ვიცით, რამდენი შეხვედრა შეისწავლეს გფრინდაშვილმა და იოსელიანმა, მაგრამ ოდნავ მაინც მნიშვნელოვანს უყურადღებოდ რომ არ დატოვებდნენ, ეს კი ფაქტია. აქ ისიც უნდა დავძინოთ, რომ 1964-1972 წლებში იოსელიანის ახალგაზრდული მწვრთნელის იურკოვის ძირითადი საქმიანობა სწორედ გფრინდაშვილის პარტიების გარჩევა, მისი სადებიუტო რეპერტუარისათვის „გასაღების მორგება" იყო. იურკოვი ხომ მსოფლიო პირველობის სამ მატჩზე პრეტენდენტის მთავარი მრჩეველი იყო. ამიტომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის თუ რა სადებიუტო სქემებს გამოიყენებს იოსელიანი, რა სადებიუტო რეპერტუარი ექნება მსოფლიოს ექსჩემპიონს. ერთი დეტალიც: თუმცა გფრინდაშვილსა და იოსელიანს მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდათ, არაერთ საერთო შეკრებაშიც მიუღიათ მონაწილეობა, მაგრამ თითქმის არა აქვთ პირადი შეხვედრების გამოცდილება (აქამდე სულ ერთი პარტია ითამაშეს). ასე რომ, მეტოქეებმა თვით მატჩის დროს უნდა გამოიტანონ ახალ-ახალი დასკვნები, დააკვირდნენ ერთმანეთის თამაშის მანერას და ა. შ.

არის დებიუტი, რომელსაც მოჭადრაკე მხოლოდ ერთ პარტიაში. მეტოქის გაოცების მიზნით იყენებს. ძნელი სათქმელია, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება თუ არა ოთხი მხედრის დებიუტი, რომელიც იოსელიანმა გამოიყენა პირველ პარტიაში. ყოველ შემთხვევაში, მას რაიმე არსებითი უპირატესობა არ მიუღია. როგორც თეორებმა, ისე შავებმაც დაამთავრეს ფიგურების განვითარება, მოემზადნენ შუა თამაშში რთული ბრძოლისათვის. მსოფლთს ექსჩემპიონმა შეგნებულად დაუთმო თეორებს ორი ქუს უპირატესობა. ამის სანაცვლოდ ნონას ლაზიერმა თეორების ბანაკში შეკრის საშუალება მიიღო. როცა ნანამ მეტოქეს ლაზიერის გაცვლა შესთავაზა, შავებმა ამ ოპერაციისაგან თავი შეიკავეს. შემდეგ გაფრინდაშვილმა მოიგო პაიკი, დროის სიმცირის პირობებში უამრავი ფიგურა გაიცვალა და თამაში გადავიდა კუთა ენდშპილში, იმის გამო, რომ მეტოქეებს სხვადასხვა ფერის კუ დარჩათ, ჯერჯერობით შავების მცირე მატერიალური უპირატესობა თითქმის არ იგრძნობა — იოსელიანი ყაიმის შესაძლებლობებს ინარჩუნებს.

პირველი პარტია

იოსელიანი — გაფრინდაშვილი

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ∂c3 ∂f6 4. g3 ⚠b4 5. ⚠g2 d6 6. d3 ⚠g4 7. h3 ⚠h5 8. 0-0 h6 9. ∂d5 ∂:d5 10. ed ∂e7 11. c3 ⚠c5 12. g4 ⚠g6 13. d4 ed 14. ∂:d4 0:0 15. ⚠e3 ♕d7 16. ♖d2 ♘ae8 17. ♘ae1 ∂c8 18. b4 ⚠:d4 19. ♗:d4 ♕d5 20. ♘d1 ∂b6 21. ♘fe1 ♗a4 22. ♘d2 ♘e7 23. ♘de2 ♘ee8 24. a3 ♗b5 25. ♘d2 ♗c4 26. ⚠f1 ♗b3 27. f3 ♘e5 28. c4 ♘fe8 29. ∂g2 ♗:a3 30. ♗b2 ♗:b2 31. ♘:b2 ∂a4 32. ♘b3 ⚠c2 33. ♘a3 ∂b2 34. ⚠e2 a6 35. ⚠d2 ♘5e7 36. ♘c3 ♘:e2+ 37. ♘:e2 ∂d1+ 38. ∂g:e1 ♘:e2+ 39. ∂g:e2 ∂:c3+ 40. ⚠:c3 ⚠b3 41. ∂g∂3 f6 42. ∂g∂4 ∂g∂7.

პარტია გადაიდო. იოსელიანმა ჩაიწერა 43-ე სვლა.

აი ეს პოზიციაც:



მეორე პარტიაში გაფრინდაშვილმა დახურულ დასაწყისს მიმართა — თამაში ლაზიერისწინა პაიკით დაიწყო. გათამაშდა ახალ-ინდური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი.

იოსელიანის მიერ განხორციელებული გაცვლითი ოპერაციი ცენტრში მცდარი აღმოჩნდა და ინიციატივას მტკიცედ დაეუფლა მსოფლიოს ექსჩემპიონი. ნონა არ ჩქარობდა, მან საუკეთესო უყრებზე გადაიყვანა ფიგურები და შავებს კონტრთამაშის დაწყების საშუალება არ მისცა. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იოსელიანი დროის მწვავე ნაკლებობას განიცდიდა, ხანგრძლივი მანევრული თამაშის შემდეგ გაფრინდაშვილმა ორი პაიკი მოიგო. თამაშში გადავიდა ლაზიერებისა და ეტლების ენდშპილში. მსოფლიოს ექსჩემპიონის მატერიალური უპირატესობით. მართალია, იოსელიანის ფიგურები გამოცოცხლდნენ, მაგრამ მისი ამოცანა მაინც მეტად რთულია.

მეორე პარტია

გაფრინდაშვილი — იოსელიანი

ახალინდური დასაწყისი

1. d4 ∂f6 2. c4 e6 3. ∂f3 b6 4. a3 ⚠b7 5. ∂c3 ♘e7 6. d5 ed 7. cd 0-0 8. g3 ♘e8 9. ⚠g2 ⚠f8 10. 0-0 c6 11. ∂g5 h6 12. ∂h3 cd 13. ∂f4 ∂c6 14. ∂f:d5 ⚠c5 15. ∂:f6+ ♕:f6 16. ∂d5 ♘e5 17. ∂c3 ♗h5 18. e3 ♗g6 19. b4 ⚠d6 20. ⚠b2 ⚠e5 21. ♘b1 ♘ac8 22. ⚠e4 ♕f6 23. ∂d5 ♗d6 24. ⚠g2 ⚠:b2 25. ♘:b2 ∂e5 26. ∂e7+ ♕:e7 27. ⚠:d7 ♘c7 28. ⚠d5 ♘ec8 29. ♗a4 ♕f6 30. ♘d2 ∂f3+ 31. ⚠:f3 ♕:f3 32. ♘:d7 ♘c1 33. ♘dd1 ♘1c2 34. ♘d8 ♘:d8 35. ♕:c2 ♗d5 36. ♘c1 a5 37. ♗c6 ♗d2 38. ♗c3 ♗e2 39. ♘e1 ♗a2 40. ba ba 41 ♕:a5 ♘d2 და პარტია გადაიდო.

დღეს დამთავრდება ორივე გადადებული პარტია.

გ. გამრეკელი.

მოკლედ

მეხიკოში მიმდინარე ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ სსრ კავშირის ნაკრებმა უძლიერესის წოდება გაინაღდა. მას უკვე 23,5 ქულა აქვს და ვერც ერთი გუნდი ვერ გაასწრებს და ვერც დაეწევა. მეორე ადგილზე მყოფი არგენტინელები საბჭოთა მოჭადრაკეებს 4,5 ქულით ჩამორჩებიან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ისტორიული მატერიალიზმის კათედრის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1925 წლიდან სკკპ წევრი **შალვა ივანეს ძე ბიწაძე.**

შ. ბიწაძე დაიბადა 1905 წელს ზესტაფონში. შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 14 წლის ასაკიდან მტვირთავ მუშად ჭიათურის მაღაროებში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1925-1929 წლებში სწავლობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, ხოლო 1933-1935 წლებში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1935 წლიდან შ. ბიწაძე იყო მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორი, 1939-41 წლებში ქათედრის გამგე ჯერ ფარმაცევტიულ, შემდეგ კი პოლიტეკნიკურ ინსტიტუტში.

1945 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მთელი გატაცებით ემსახურებოდა სტუდენტთა აღზრდის საქმეს.

შ. ბიწაძის სახით ქართველ ფილოსოფოსებს ჰყავდა შესანიშნავი მკვლევარი, რომლის კალამს 30-ზე მეტი ნაშრომი ეკუთვნის